საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 16 ივნისი, 2025 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/85

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-9 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე და 24-ე მუხლების, ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების“ მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებისა და „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 30 იანვრის №04-01/37 დადგენილების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2025 წლის 16 ივნისს გამოცხადდეს არჩევნები სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში-ბხსუ) **რექტორის თანამდებობის 2025 წლის 31 ივლისიდან 4 წლის ვადით დასაკავებლად.**

2. ბხსუ-ს რექტორობის კანდიდატი შეიძლება იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც აქვს უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №103) **2025 წლის 17 ივლისიდან 2025 წლის 23 ივლისის ჩათვლით, გარდა შაბათ-კვირისა, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე.**

4. **კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება (შევსებული წინამდებარე დადგენილების დანართი №1-ის შესაბამისად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4;

დ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ (შენიშვნა: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ

დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.) გაცემული განცხადების წარმოდგენამდე 15 დღის ვადაში;

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ზ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ი) სამოქმედო გეგმა.

5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყოს **2025 წლის 30 ივლისს, 14:00 სთ-ზე.**

6. ბხსუ-ს რექტორის **არჩევნები ჩატარდეს 2025 წლის 30 ივლისს, 15:00 სთ-ზე.**

7. ბხსუ-ს რექტორის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიამ და იხელმძღვანელოს ბხსუ-ს წესდების, ბხსუ-ში არჩევნების ჩატარების დებულების და წინამდებარე დადგენილების შესაბამისად.

8. ბხსუ-ს რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადება (დანართი №2) საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, არაუგვიანეს 2025 წლის 16 ივნისისა გამოქვეყნდეს ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და კანდიდატების რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე უნივერსიტეტში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე).

9. წინამდებარე დადგენილებისა და რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადების ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის აიტი მენეჯერს.

10. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს, აიტი მენეჯერს, იურისტს, საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიას და ფაკულტეტებს.

11. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ. №30).

12. დადგენილება ძალაშია ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ალაფიშვილი**